ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გია ტაბლიაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

კოლეგიის წევრი - ანა ხურციძე

კოლეგიის წევრი - ანა ლორია

საჩივრის ავტორი: ნ. ბ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 13.11.2017

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №095/17

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. გ.-ის მიმართ /სიითი №-/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. გ.-ისთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2017 წლის 13 ნოემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა საპატიმრო დაწესებულებაში მყოფმა ნ. ბ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ნ. გ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2017 წლის ივნისის თვიდან ის, როგორც ბრალდებული მოთავსებულია №X პენიტენციურ დაწესებულებაში და მისი ინტერესების დაცვას ახორციელებენ ოჯახის წევრების მიერ მიწვეული ადვოკატები სისხლის სამართლის საქმეზე.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2017 წლის 23 აგვისტოს მასთან შეხვედრის მიზნით, პენიტენციურ დაწესებულებაში შევიდა ადვოკატი ნ. გ.. თავდაპირველად მას ეგონა, რომ ნ. გ. თავისი ოჯახის მიერ მიწვეული ადვოკატი იყო. ადვოკატთან პირადი საუბრისას აღმოჩნდა, რომ ის იყო ნ. ბ.-ის პროცესუალური მოწინააღმდეგის ადვოკატი სამოქალაქო საქმეში.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, არც თავად და არც მისი ოჯახის წევრები ნ. გ.-სთან საადვოკატო მომსახურების თაობაზე არ შეთანხმებულან და შესაბამისად, ნ. გ.-ს არ ჰქონდა უფლება გამოეწერა ორდერი ნ. ბ.-ის სახელზე და მის სანახავად შესულიყო №X პენიტენციურ დაწესებულებაში.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ნ. გ.-მ 2018 წლის 25 იანვარს წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება. საპროცესო კოლეგიის მიერ დასმულ შეკითხვებთან დაკავშირებით 2018 წლის 19 თებერვალს ადვოკატმა დამატებით წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება.

2.2 ადვოკატის განცხადებით, მისმა მარწმუნებელმა მიაწოდა ინფორმაცია, რომ ის სამოქალაქო საქმეზე ედავებოდა ნ. ბ.-ს, რომელიც ბრალდებული იყო და იმყოფებოდა №X პენიტენციურ დაწესებულებაში. ადვოკატის განცხადებით, მისმა კლიენტმა უთხრა, რომ მას არ გააჩნდა პირადი ინტერესი ნ. ბ.-ს მიმართ, არ სურდა სისხლის სამართლის საქმეზე სასჯელი დამძიმებოდა და ამიტომ დავის მორიგებით დასრულებას აპირებდა.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მან თავის კლიენტს განუმარტა, რომ „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილი უზღუდავდა ადვოკატის გვერდის ავლით მოწინააღმდეგე მხარესთან შეხვედრას და სთხოვა დაეზუსტებინა ნ. ბ. წარმოდგენილი იყო თუ არა მოცემულ სამოქალაქო საქმეზე ადვოკატის მეშვეობით.

2.4 ადვოკატის განცხადებით, მისმა მარწმუნებელმა განუმარტა, რომ ვერ დაადგინა ჰყავდა თუ არა ნ. ბ.-ს ადვოკატი. აგრეთვე, ადვოკატმა ნ. გ.-მ ვერ დაადგინა მოცემული გარემოება, რის შემდეგაც მისმა მარწმუნებელმა სთხოვა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოენახულებინა ნ. ბ. და გაერკვია ჰყავდა თუ არა მას ადვოკატი.

2.5 ადვოკატის განმარტებით, ის შევიდა ნ. ბ.-სთან პენიტენციურ დაწესებულებაში, რომელმაც განუცხადა, რომ მას ადვოკატი ჰყავს სისხლის სამართლის საქმეზე, მაგრამ არ ჰყავს სამოქალაქო საქმეზე. ადვოკატის განმარტებით, სხვა არანაირი საუბარი მათ შორის არ შემდგარა. ადვოკატის განცხადებით, დღემდე უცნობია მისთვის სამოქალაქო საქმეზე ნ. ბ.-ს ჰყავს თუ არა ადვოკატი, ვინაიდან მან ამის გაგება ვერ შესძლო, მიუხედავად მისი მცდელობისა.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ნ. გ. არის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრი /სიითი №-, სპეციალიზაცია – საერთო. ადვოკატის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.“

3.2 ნ. ბ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2017 წლის 13 ნოემბერს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2017 წლის 23 აგვისტოს. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ნ. გ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი და არსებობს „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა .

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ საჩივრის ავტორთან - ნ. ბ.-სთან შესახვედრად შევიდა ადვოკატი ნ. გ., რომელიც არის საჩივრის ავტორის მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი სამოქალაქო საქმეზე.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ნ. გ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლი: „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები".
>
> ადოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილი: „ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით, თუ მისთვის ცნობილია, რომ ეს მხარე წარმოდგენილია ადვოკატით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარის ადვოკატი დათანხმდება ასეთ კომუნიკაციაზე ან ობიექტურად შეუძლებელია ადვოკატთან დაკავშირება".

5.3 ეთიკის კომისიის 2014 წლის 02 სექტემბრის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე №064/14 ეხება იმ გარემოებას, როდესაც მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატი ორდერის გამოწერის მეშვეობით შეხვდა პენიტენციურ დაწესებულებაში მისი დაცვის ქვეშ არ მყოფ პირს - იგი მომჩივანის ინტერესებს არ იცავდა, მოქმედებდა კანონისა და კლიენტის ინტერესების შესაბამისად „საჩივრის ავტორს საჩივარში მითითებული გარემოებების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება ადვოკატის მხრიდან მასზე განხორციელებული რაიმე ფორმით ზეწოლის, ზემოქმედების ან სხვა უკანონო ქმედების შესახებ ან ისეთი გარემოების შესახებ, რომელმაც მომჩივანის ინტერესები დააზიანა არ წარმოუდგენია და საჩივრის ავტორს არ მიუთითებია ისეთი მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობის შესახებ, რომელზეც თავად არ მიუწვდება ხელი და შესაძლებელი იქნებოდა მათი მოპოვება ეთიკის კომისიის ჩართულობით".

5.4 ადვოკატის მიერ მოწინააღმდეგე მხარესთან კომუნიკაციის სტანდარტთან დაკავშირებით ეთიკის კომისიამ 2014 წლის 25 სექტემბრის რეკომენდაციაში №006/14 აღნიშნა, რომ „კოლეგიალობის პრინციპი ადვოკატს ავალდებულებს მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან დაკავშირებას, რაც საკითხის დელიკატურობიდან გამომდინარე, უნდა ატარებდეს არა მოწინააღმდეგე მხარისაგან მიღებული ინფორმაციის გადამოწმების, არამედ კოლეგიალობის ხასიათს. კოლეგიალობის პრინციპი არ არის მარტოოდენ ფორმალური ქცევის მოთხოვნა, არამედ იგი შინაარსობრივი დატვირთვის მატარებელია. ამ პრინციპის დაცვით, ადვოკატებს შესაძლებლობა ეძლევათ გადაამოწმონ კლიენტისა და მოწინააღმდეგე მხარისაგან მიღებული ინფორმაცია საქმის მიმდინარეობისა, საქმესთან დაკავშირებული გარემოებებისა და მხარეთა შესაძლო მორიგების შესახებ, თავიდან აიცილონ არასწორი კომუნიკაციის შედეგად მიღებული ინფორმაციის დამახინჯება, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს საქმის განხილვის გართულება, ან მოჰყვეს მხარეთა და/ან ადვოკატთა შორის ურთიერთობის დაძაბვა და კონფლიქტი. გარდა ამისა, მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან ადვოკატის სავალდებულო კომუნიკაცია ზრდის ადვოკატის პასუხისმგებლობას, რომ არაფერი ვთქვათ კოლეგის მიმართ პატივისცემის დადასტურების შესაძლებლობაზე“.

5.5 ეთიკის კომისიამ 2018 წლის 09 მარტის №004/18 რეკომენდაციაში მოწინააღმდეგე მხარესთან დაკავშირების ინიციატორი ადვოკატის თაობაზე აღნიშნა, რომ „იმ შემთხვევაში, თუ ინიციატორი ადვოკატი დარწმუნდება, რომ მოწინააღმდეგე მხარეს აღარ ჰყავს ადვოკატი, მან შეიძლება გადასცეს ინფორმაცია მოწინააღმდეგე მხარეს უშუალოდ. ამასთან ინფორმაციის გადაცემისას მოწინააღმდეგე მხარეს არ უნდა გაუწიოს საადვოკატო კონსულტაცია ინფორმაციასთან დაკავშირებით ან არ შექმნას ასეთი კონსულტაციის გაწევის აღქმა, ასევე ურჩიოს, რომ მოწინააღმდეგე მხარემ გადაწყვეტილების მიღებამდე მიიღოს რჩევა დამოუკიდებელი ადვოკატისგან“.

5.6 მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორი უთითებს, რომ 2017 წლის 23 აგვისტოს მასთან, როგორც ბრალდებულთან №X პენიტენციურ დაწესებულებაში შეხვედრის მიზნით შევიდა ადვოკატი ნ. გ., რომელმაც განუცხადა, რომ მისი პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი იყო სამოქალაქო საქმეში. ადვოკატ ნ. გ.-ის მიერ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილია 2017 წლის 23 აგვისტოს გაცემული ორდერი, სადაც მითითებულია, რომ ორდერის გამოწერის მიზანია „ბრალდებულ ნ. ბ.-სთან შეხვედრა №X პენიტენციურ დაწესებულებაში იამზე შალიკაშვილი -ფარჯიანის საქმეზე, სამოქალაქო დავის შესაძლო მორიგებით დამთავრებაზე საკითხის გადასაწყვეტად“ (ორდერი, ს.ფ.15). ადვოკატი თავის ახსნა-განმარტებაში აღნიშნავს, რომ ნ. ბ.-სთან საუბრის შედეგად, დადგინდა, რომ ის არ იყო წარმოდგენილი ადვოკატით სამოქალაქო საქმეზე.

5.7 ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი ახსნა-განმარტების მიხედვით, ადვოკატი ნ. გ. ადასტურებს იმ გარემოებას, რომ იგი იმყოფებოდა ნ. ბ.-სთან შესახვედრად პენიტენციურ დაწესებულებაში. ადვოკატის მიერ წარმოდგენილი პოზიციის მიხედვით ირკვევა, რომ მისი მარწმუნებელი იმ ეტაპზე არ იყო ნ. ბ.-ის პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარე, თუმცა აპირებდა მის მიმართ

სასამართლოში დავის წარმოების დაწყებას, სურდა მორიგებით დავის დასრულება და ცდილობდა დაედგინა ჰყავდა თუ არა ნ. ბ.-ს მოცემულ სამოქალაქო საქმეზე ადვოკატი. სხვა გზით ის ვერ ახერხებდა ამის დადგენას. ადვოკატი თავის ახსნა-განმარტებაში უთითებს, რომ ვინაიდან ვერ დადგინდა ნ. ბ. წარმოდგენილი იყო თუ არა ადვოკატით იმ საქმეზე, რაზედაც მისი მარწმუნებელი ედავებოდა, პენიტენციურ დაწესებულებაში თავისი კლიენტის თხოვნით, შეხვდა ნ. ბ.-ს.

5.8 ეთიკის კომისიამ საჩივარში არსებული ბუნდოვანების აღმოსაფხვრელად და კომისიისათვის არსებითი სახის გარემოებების დასადგენად მიმართა საჩივრის ავტორს 2018 წლის 15 თებერვალს იმის თაობაზე, რასთან დაკავშირებით შეხვდა მას სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ადვოკატი ნ. გ. და წარმოდგენილი იყო თუ არა ის ადვოკატით სამოქალაქო საქმეზე. ეთიკის კომისიას №X საპატიმრო დაწესებულებაში მყოფ მომჩივან ნ. ბ.-ისგან გაგზავნილ შეკითხვებზე არ მიუღია პასუხი და არც რაიმე დოკუმენტი ეთიკის კომისიაში არ წარმოდგენილა, იმის თაობაზე რომ ნ. ბ. გადაყვანილია სხვა საპატიმრო დაწესებულებაში ან რაიმე დამაბრკოლებელი გარემოება არსებობდა ამისთვის.

5.9 მოცემულ შემთხვევაში, არ დგინდება ის გარემოება, რომ საჩივრის ავტორისა და ადვოკატ ნ. გ.-ის პენიტენციურ დაწესებულებაში შეხვედრის დროს, საჩივრის ავტორს ჰყავდა ადვოკატი სამოქალაქო საქმეზე და ამის თაობაზე ინფორმირებული იყო ადვოკატი ნ. გ..

5.10 საჩივრის ავტორი მისსავე განცხადებაში თვითონვე ადასტურებს, რომ ადვოკატ ნ. გ.-სა და მის შორის რაიმე საკითხზე საუბარი არ ყოფილა. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის პოზიციის მიხედვით და ასევე დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი მასალებით, არ დასტურდება ის გარემოებაც, რომ ადვოკატმა ნ. გ.-მ საადვოკატო კონსულტაცია გაუწია ნ. ბ.-ს ან რაიმე ფორმით განახორციელა ზემოქმედება მასზე რაიმე ინფორმაციის მიღების მიზნით.

5.11 საჩივრის ავტორი ეთიკის კომისიისადმი მომართულ საჩივარში არსად უთითებს, რომ მან ადვოკატ ნ. გ.-ს საქმის არსებითი გარემოებების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია და ადვოკატის ქმედებით ზიანი მიადგა მითითებული საქმის შედეგს ან მას პირადად.

5.12 ეთიკის კომისიაში 2018 წლის 25 იანვარს ადვოკატმა ნ. გ.-მ წარმოადგინა ახსნა-განმარტება, სადაც განმარტა მისი პენიტენციურ დაწესებულებაში შესვლის მიზეზი. 2018 წლის 19 თებერვალს დამატებით ეთიკის კომისიის მიერ გაგზავნილ კონკრეტულ შეკითხვებზე წარმოადგინა ადვოკატმა პოზიცია, სადაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მას არანაირი საშუალება არ ჰქონდა რაიმე ინფორმაციის მიღების ნ. ბ.-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის შესახებ, მან ვერ დაადგინა ნ. ბ.-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის სხვა გზით არსებობა და მხოლოდ მასთან ასეთი გზით შეხვედრის საშუალებით აპირებდა ამის დადგენას.

5.13 ვინაიდან მომჩივანი მხარის მიერ ეთიკის კომისიაში არ წარმოდგენილა არცერთი მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, რომ ადვოკატ ნ. გ.-ისათვის ცნობილი იყო საჩივრის ავტორის ადვოკატის არსებობის შესახებ, ხოლო მოპასუხე ადვოკატმა ეთიკის კომისიაში წარმოადგინა კონკრეტული არგუმენტაცია საწინაღმდეგოს დასადასტურებლად -

აღნიშნულიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგია მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს ადვოკატ ნ. გ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

5.14 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ მოცემულ დისციპლინურ საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე არ დგინდება ადვოკატ ნ. გ.-ის მიერ ეთიკური ვალდებულებების სავარაუდო დარღვევა და არ არსებობს საკმარისი ვარაუდი ადვოკატის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის თაობაზე და ადვოკატ ნ. გ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე, 33-ე მუხლებით, „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის" მე-7 მუხლით, მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით, მე-19 მუხლით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის მეორე პუნქტით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №095/17 ადვოკატ ნ. გ.-ის მიმართ /სიითი №-/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

გადაწყვეტილებას თან ერთვის ეთიკის კომისიის პირველი კოლეგიის წევრის - ანა ლორიას განსხვავებული აზრი.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გია ტაბლიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/

კოლეგიის წევრი: /ანა ლორია/

I დისციპლინური კოლეგიის წევრის - ანა ლორიას

განსხვავებული აზრი

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაზე, საქმე №095/17

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

გამოვხატავ პატივისცემას ჩემი კოლეგების - ეთიკის კომისიის პირველი საპროცესო კოლეგიის წევრების მიმართ, რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილება ადვოკატ ნ. გ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ (საქმე #095/17) და წარმოგიდგენთ ნაწილობრივ განსხვავებულ აზრს მოცემული საქმის სამართლებრივ შეფასებასა და შედეგთან დაკავშირებით.

1. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ საჩივარი ეთიკის კომისიაში შემოვიდა მხოლოდ ერთ საკითხზე - ნ. გ.-ის მიერ ორდერის გამოწერის კანონიერებაზე, თუმცა ამ საკითხზე მსჯელობის მიუხედავად, სამწუხაროდ არ აისახა გადაწყვეტილებაში, თუ რატომ არ თვლის კოლეგია, რომ ორდერი უკანონოდ გამოიწერა. შესაბამისად, არ მომეცა საშუალება განსხვავებული მოსაზრებაში გამომეხატა ჩემი შეფასება კოლეგიის წევრების სამართლებრივ მსჯელობაზე ორდერის კანონიერების ნაწილში. განსხვავებულ მოსაზრებაში ჩამოვაყალიბებ სამართლებრივ მსჯელობას ორდერის გამოწერის კანონიერებაზე და მოსაზრებას თუ რატომ მიმაჩნია, რომ მოცემულ საქმესთან დაკავშირებით სხვა შედეგი უნდა დამდგარიყო.

2. ადვოკატთა პროფესიული პასუხისმგებლობის მარეგულირებელი ნორმები ითვალისწინებენ კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპს, თუმცა ეს არ უნდა იქნეს იმგვარად გაგებული, რომ ადვოკატს კანონის გვერდის ავლით შეუძლია იმოქმედოს, მაშინ, როდესაც კლიენტის ინტერესებს წარმოადგენს. კანონიერების პრინციპი უპირატესია ყველა სხვა პრინციპთან, მათ შორის კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპთან მიმართებით, რომელიც პროფესიული ეთიკის ნორმებშია გაწერილი.

3. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი პირდაპირ ეხება მოცემულ შემთხვევას და მიგვითითებს ადვოკატის ვალდებულებაზე, რომ კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს მხოლოდ და მხოლოდ ის საშუალებები, რომელიც არ არის აკრძალული არც კანონმდებლობით და არც პროფესიული ეთიკის ნორმებით (იხ. ადვოკატთა შესახებ კანონი, მუხლი 6.1.).

4. ანალოგიურ მოთხოვნას აწესებს პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი, რომელიც უთითებს, რომ ადვოკატის მოქმედებები, რომელიც მიმართულია კლიენტის ინტერესების დასაცავად უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და პროფესიული ეთიკის ნორმებს (იხ. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 5).

5. კოლეგიის წევრებმა უდავო ფაქტად მივიჩნიეთ, რომ ნ. გ.-მ ორდერი გამოწერა ნ. ბ.-ის სახელზე, მაშინ როდესაც ნ. ბ. მისი კლიენტი არ ყოფილა. აღნიშნული თავისთავად ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ორდერი გამოიწერა "ფორმალურად".

6. ადვოკატის მიერ ორდერის გამოწერა მისი კლიენტის მოწინააღმდეგე მხარის სახელზე მხოლოდ იმ მიზნით, რომ ადვოკატი შესულიყო პენიტენციურ დაწესებულებაში და გაეგო საჩივრის ავტორის მოსაზრება სამოქალაქო დავაში მორიგების საკითხთან დაკავშირებით არ აბათილებს კანონის მოთხოვნას, რომ ორდერი გამოიწეროს კანონის მოთხოვნათა დაცვით.

7. ორდერის გამოწერასა და კანონიერი საშუალებების გამოყენების ურთიერთკავშირს კანონი პირდაპირ არეგულირებს იმ ნორმებში, სადაც ორდერის სამართლებრივ ბუნებაზე მიგვითითებს. კერძოდ, ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი განმარტავს, რომ ორდერი წარმოადგენს კლიენტის მიერ ადვოკატისათვის მინიჭებულ უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს. კლიენტს კი წარმოადგენს ის პირი, რომელმაც ადვოკატს სამართლებრივი დახმარებისათვის მიმართა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლიც ანალოგიურ დანაწესს გვთავაზობს. მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორს - ნ. ბ.-ს არ მიუმართავს ნ. გ.-ისათვის სამართლებრივი დახმარებისათვის და ნ. გ. ვერც ივარაუდებდა ნ. ბ.-ის თანხმობას მის წარმომადგენლობაზე, რადგან მისთვის თავიდანვე ცნობილი იყო, რომ საჩივრის ავტორი მისი მარწმუნებლის პროცესუალურ მოწინააღმდეგეს წარმოადგენდა სამოქალაქო დავაში. შესაბამისად, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.1 მუხლის საგამონაკლისო წესიც არ გვაქვს სახეზე, რომ ვივარაუდოთ პოტენციური კლიენტის თანხმობა.

8. როდესაც ორდერის გამოწერის კანონიერებაზე ვმსჯელობთ, მნიშვნელოვანია თავიდანვე განვსაზღვროთ თუ რა იყო ორდერის გამოწერის მიზანი. მოცემულ შემთხვევაში, ნ. გ.-ის მიერ გამოწერილი ორდერის მიზანი იყო არა ნ. ბ.-ის დაცვა, არამედ მისგან ინფორმაციის მიღება სამოქალაქო დავაზე (შესაძლო მორიგების მიზნით), რომელშიც ნ. ბ. ნ. გ.-ის მარწმუნებლის მოწინააღმდეგე მხარეს წარმოადგენდა. შესაბამისად, ნ. გ.-ის მიერ განხორციელებული ქმედება ე.წ. "ფორმალური ორდერის" გამოწერის ჭრილში, თავისთავად უკანონო ხასიათისაა და ეწინააღმდეგება ორდერის სამართლებრივ ბუნებას.

9. რაც შეეხება კოლეგების პატივსადებ არგუმენტს, რომ საჩივრის ავტორს არ მიადგა ზიანი, მიმაჩნია, რომ განხილვის კომისიამ ეს ფაქტი მხედველობაში უნდა მიიღოს, მაშინ როდესაც სახდელის შეფარდების პროპორციულობაზე იმსჯელებს. ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 30-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საპროცესო კოლეგიამ დისციპლინური დევნა უნდა აღძრას იმ შემთხვევაში თუ საქმეში წარმოდგენილი გარემოებების დადგენის შემთხვევაში სავარაუდოა ადვოკატის მიერ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5-მე-9 მუხლებით ან ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმებით განსაზღვრული ადვოკატის პროფესიული ვალდებულებების დარღვევა. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ადვოკატის მიერ მისი კლიენტის პროცესუალური მოწინააღმდეგის სახელზე ორდერის გამოწერის ფაქტი სადაო არ ყოფილა არც მოპასუხე ადვოკატისათვის და არც კომისიის წევრებისათვის. შესაბამისად კოლეგიის წევრების მოსაზრებას

გავემიჯნე მსჯელობაში იმის თაობაზე, წარმოადგენდა თუ არა მსგავსი ფორმით ორდერის გამოწერა კლიენტის დასაცავად განხორციელებულ კანონიერ საშუალებას.

10. გადაწყვეტილებაში მოყვანილია ციტირება ეთიკის კომისიის ერთი გადაწყვეტილებიდან საქმე #064/14, რითაც დადგინდა, რომ მსგავსი ფორმით ორდერის გამოწერა გამომდინარეობდა კლიენტის ინტერესებიდან და შეესაბამებოდა კანონს. სამწუხაროდ გადაწყვეტილებაში არ აისახა ეთიკის კომისიის სრული პრაქტიკა, რომელიც აბსოლუტურად საწინააღმდეგო დასაბუთებას გვთავაზობს და ამბობს, რომ ე.წ. "ფორმალური ორდერის" გამოწერა ეწინააღმდეგება ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს - კანონიერების პრინციპს.

11. ეთიკის კომისიის პრაქტიკა ორდერის გამოწერის კანონიერებასთან დაკავშირებით არის შემდეგნაირი:

12. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, საქმე #124/12 - "ადვოკატის მიერ ორდერის გამოწერა უნდა განხორციელდეს ორდერში მითითებული პირის დასაცავად. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატის მიერ სხვა მიზნით გამოწერილი ორდერი იქნება ფიქტიური ხასიათის, რაც არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ორდერის სამართლებრივ ბუნებას და იწვევს ადვოკატის მიერ ორდერის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების დარღვევას სამართლებრივი ურთიერთობის დაწყებისთანავე" (საქმე #124/12, პარ. 6.4). მოცემული საქმე ფაქტებიდან გამომდინარე ანალოგიურია ამ საქმისა, სადაც ადვოკატმა აღიარა, რომ შევიდა საპყრობილეში მისი კლიენტის მოწინააღმდეგე მხარესთან ორდერის გამოწერით, რათა დაეცვა მისი კლიენტის ინტერესები სამოქალაქო საქმეზე. ორდერის გამოწერის მიზანი იყო მისი კლიენტის პროცესუალურ მოწინააღმდეგე მხარესთან შეხვედრა და საქმეზე ინფორმაციის მიღება. აღნიშნულ საქმეში არათუ აღიძრა ადვოკატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა, არამედ მოხდა ადვოკატის დისციპლინირება. თუმცა საქმის მსგავსების მიუხედავად, კომისიამ ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში ადვოკატის მხრიდან დარღვევა არ ყოფილა სახეზე.

13. "ადვოკატის მიერ მსჯავრდებულის სახელზე ორდერის გამოწერა გულისხმობს ადვოკატსა და მსჯავრდებულ პირს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის წარმოშობას, რაც ადვოკატს აკისრებს ვალდებულებას, იმოქმედოს ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსითა და შესაბამისი საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით მსჯავრდებული პირის (კლიენტის) ინტერესების დასაცავად" (საქმე #124/12, პარ. 6.6).

14. "ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატის მიერ ორდერის გამოწერა არ ხდება უპირველესად და ექსკლუზიურად იმ პირის ინტერესების დაცვის მიზნით, ვინც არის ორდერში მითითებული, ადვოკატმა უარი უნდა თქვას ორდერის გამოწერასა და დაცვის განხორციელებაზე". (საქმე #124/12, პარ. 6.8).

15. "ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ დისციპლინური პასუხიმგებლობის ფორმის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო ადვოკატ ლ. ბ.-ს მიდგომა საკითხისადმი, ადვოკატის განცხადება განხილვის კოლეგიის სხდომაზე, რომ არასწორად მოიქცა და არ უნდა გამოეწერა ორდერი სადაც დასაცავ პირად მითითებული იყო მარწმუნებლის პროცესუალური მოწინააღმდეგე. ასევე,

განხილვის კოლეგიამ გაითვალისწინა, რომ ადვოკატის ქმედებას შედეგი არ მოჰყოლია" და აქედან გამომდინარე განესაზღვრა კერძო სარეკომენდაცია ბარათი. მოცემულ საქმეში დადგინდა, რომ ე.წ. "ფორმალური ორდერის" გამოწერით ადვოკატმა დაარღვია პროფესიული ეთიკის ნორმები, ხოლო ზიანის არარსებობა გათვალისწინებული იქნა სახდელის შერჩევისას (საქმე #124/12, პარ. 6.11).

16. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, საქმე #047/11 - "ორდერი წარმოადგენს კლიენტის მიერ ადვოკატისთვის მინიჭებული უფლებამოსილების დამოწმებას, რაც ავალდებულებს ადვოკატს განახორციელოს ქმედებები კლიენტის სახელით და მისი ინტერესების დასაცავად" (საქმე #047/11, პარ. 7.4).

17. "განხილვის კოლეგია მიიჩნევს რომ ორდერის გამოწერა, ორდერით განსაზღვრული პირის სახელზე, წარმოშობს კლიენტ-ადვოკატის ურთიერთობას და შესაბამისად, ორდერის გამოწერით ადვოკატს დაეკისრა ვალდებულება ემოქმედა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსითა და შესაბამისი საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით ბრალდებული პირის (კლიენტის) ინტერესების დასაცავად" (საქმე #047/11, პარ.7.6).

18. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, საქმე #044/10 - "კონკრეტული პირის მიერ ადვოკატის სახელზე ორდერის გამოწერა წარმოშობს ადვოკატსა და კლიენტს შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობას, რაც გულისხმობს ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების დაცვასა და იმ ვალდებულებების შესრულებას, რაც განსაზღვრულია ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონით და შესაბამისი საპროცესო კანონმდებლობით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლების შეფასების საფუძველზე, განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ უფლებამოსილი პირების მიერ ადვოკატთან ხელშეკრულების დადება სისხლის სამართლის საქმეში მისი მონაწილეობის თაობაზე მიზნად უნდა ისახავდეს მსჯავრდებულის ინტერესების დაცვას."

19. ,,საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს ადვოკატის მიერ ორდერის გაფორმებას სხვა მიზნით (სხვა კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით), გარდა ორდერში მითითებული პირის ინტერესების დაცვისა" (საქმე #044/10).

20. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, საქმე #048/15 - "ადვოკატი ორდერს გამოწერს ორდერის საფუძველზე განსაზღვრული პირის ინტერესების დასაცავად და არა სხვა პირის, თუნდაც კლიენტის დავალების შესასრულებლად და მისი ინტერესების დაცვის მიზნით." მითითებული გადაწყვეტილება წარმოადგენს საპროცესო კოლეგიის მიერ მიღებულ უახლეს გადაწყვეტილებას, რომლითაც აღიძრა დისციპლინური დევნა ადვოკატის წინააღმდეგ.

21. რადგან საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება დანერგილი პრაქტიკისაგან განსხვავებულად არეგულირებს ორდერის გამოწერის კანონიერების საკითხს, ვფიქრობ კოლეგიას სათანადო სამართლებრივი მსჯელობა უნდა ჩამოეყალიბებინა მისი პოზიციის გასამყარებლად. კერძოდ, საპროცესო კოლეგიას უნდა წარმოედგინა შესაბამისი დასაბუთება, თუ რა შეიცვალა დღეს და

რატომ მიაჩნია, რომ ამ საქმით უნდა შეიცვალოს უკვე დანერგილი პრაქტიკა ე.წ. "ფორმალური ორდერის" გამოწერის კანონიერებასთან მიმართებით.

22. კოლეგიის წევრების მიერ გადაწყვეტილების 5.10 პუნქტში მითითებულია, რომ ვერ დასტურდება ნ. გ.-ის მიერ ნ. ბ.-ისათვის საადვოკატო კონსულტაციის გაწევის ან მასზე რაიმე ფორმით ზემოქმედების ფაქტი ნ. ბ.-ისაგან ინფორმაციის მიღების მიზნით. მოცემულ საკითხს ორდერის კანონიერების შეფასებისას მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს, აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია ინტერესთა კონფლიქტის შეფასებისათვის, რომელზეც ასევე უნდა ემსჯელა საპროცესო კოლეგიას. მიმაჩნია, რომ მოცემულ საქმეში ასევე ვლინდებოდა ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაც, რადგან ადვოკატი ნ. გ. ერთდროულად წარმოადგენდა პროცესუალური მოწინააღმდეგეების ინტერესებს.

23. ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იმავე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 6.1.).

24. ადვოკატმა უნდა განსაზღვროს როდის არის შესაძლებელი რომ წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტის საფრთხე. ეს არის ადვოკატის პროფესიული რისკი. იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი ხედავს რომ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი მის კლიენტებს შორის ან მისი წარმოშობის საფრთხე, ეთიკის კოდექსი ავალდებულებს მას შეწყვიტოს პროფესიული ურთიერთობა ორივე კლიენტთან.

25. ვფიქრობ ადვოკატის ქმედებაში იკვეთება ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა", „დ", „ე", „თ", „ლ" პუნქტების, მე-5 მუხლის „ა", „ბ", „ე" პუნქტების, მე-6 მუხლის პირველი ნაწილის, მე-8 მუხლის პირველი ნაწილის და პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლის, მე-5 მუხლის და მე-6 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევა, რის გამოც მოცემულ საქმეზე განსხვავებული სამართლებრივი შედეგი უნდა დამდგარიყო.

26. შესაბამისად, ვერ დავეთანხმები კოლეგიის წევრების შემაჯამებელ დასკვნას, რომ სახეზე არ არსებობს ადვოკატ ნ. გ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი. ვფიქრობ, რომ მოცემულ საქმეზე უნდა აღძრულიყო დისციპლინური დევნა ადვოკატ ნ. გ.-ის მიმართ და საქმე არსებითად განსახილველად გადასცემოდა ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიას.

ანა ლორია

ეთიკის კომისიის წევრი